საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კელაპტარა

კელაპტარა (Orobanche), მრავალწლოვანი ან ერთწლოვანი უქლოროფილო პარაზიტი მცენარეების გვარი კელაპტარასებრთა ოჯახისა. ღეროს სიმაღლე 50 სმ აღწევს. ფესვები გადაქცეული აქვს მოკლე ხორცოვან მისაწოვრებად – ჰაუსტორიებად, რითაც ისინი ეხებიან მასპინძელი მცენარის ფესვებს და იჭრებიან შიგნით. მცენარეს აქვს თეთრ-რუხი, მოყვითალო, მოვარდისფრო ან მოლურჯო შეფერილობა. გვარში 150-ზე მეტი სახეობაა. გავრცელებულია ზომიერ და სუბტროპ. სარტყელში. საქართველოში 28 სახეობა იზრდება. ბევრი მათგანი ძნელად მოსაშორებელი პარაზიტი სარეველაა: მზესუმზირას კ., დატოტვილი კ., კომბოსტოს კ., ეგვიპტური კ., ყვითელი კ. და სხვ. კ. მასპინძელ მცენარეს ართმევს წყალს და საკვებ ნივთიერებებს, მისგან დაავადებული მცენარე ჭკნება და კვდება. ბრძოლის ღონისძიებებია: მცენარეთა სელექცია, თესლბრუნვა, ნიადაგის ღრმად (20 სმ) დამუშავება, ჰერბიციდების გამოყენება.